სოფლსაბჭოები: შუამთის, მთისძირის, მუხქედის, ტობანიერის, მიქელეფონ - კუშუბოურის, ყუმურის, მაისოურის. დუცხუნის, ციხესულორისა და ზედა-ვანისა.

### ბაღდათის რაიონი

159 **ბაღდათის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფ ბაღდათი).
სოფლსაბჭოები: ბაღდათის, ზეკანის, წაბლარისხევის, ზეკარის, ხანის, საკრეულის, პირველი ობჩისა და მეორე ობჩისა

160 **დიმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. დიმი).
სოფლსაბჭოები: დიმის. ფერსათის. წითელხევის. როკითის, როხისა და ვარციხისა.

### ჩოხატაურის რაიონი

161. **ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ჩოხატ ური).
სოფლსაბჭოები: ჩოხატაურის, გოგოლესუბნის, შუა-განათლების, განახლების, სამების, ზომლეთის, ბასილეთისა და გორა-ბერეჟოულისა.

162. **ხიდისთავის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფ. ხიდისთავი).
სოფლსაბჭოები: ხიდისთავის, ბუკნარის. ქვენობანის. ჭალის-უბნის, ერკეთის, ხევის, ნაბეღლავისა და იანეულის.

163. **დაბლაციხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. დაბლაციხე).
სოფლსაბჭოები: დაბლაციხის, ბუკისციხის, დიდი-ვანის, შუა-სურების, ზემო-სურების, კოხნარის, საჭამიასერისა და ზემო-ხეთისა.

### ლანჩხუთის რაიონი

164. **ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. ლანჩხუთი).
სოფლსაბჭოები: ლანჩხუთის, მაჩხვარეთის, გვიმბრალაურის, ჩიბათის, ლესის, ეწერის, ზემო-შუხუთისა და კიროვისა.

165. **აცანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. აცანა).
სოფლსაბჭოები: აცანის, მამათის, აკეთის, ჭანჭათის, ქვემო-აკეთის, ქვემო-შუხუთის, ქვიანის, ლაშისღელისა და ნიგოითისა.

166. **სუფსის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. სუფსა).
სოფლსაბჭოები: სუფსის, ჩოჩხათის, ნინოშვილის, ნიგვზიანისა და ჯურუყვეთისა.

### მახარაძის რაიონი

167. **მახარაძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. მახარაძე).
ქ. მახარაძე და სოფლსაბჭოები: ექადიის, გურიანთისა და მაკვანეთისა.

168. **მერიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. მერია).
სოფლსაბჭოები: მერიის, შრომის, ნატანების, კონჭკათისა და თხინვალის და ლაითურის საბჭოთა მეურნეობა.

169. **ნასაკირალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა).
ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და სოფლსაბჭოები: ჯუმათის, სილაურის, მახარაძის, ველექედურის, დვაბზუსი, ძიმითის, ნაგომარისა და ასკანისა.

170. **შემოქმედის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. შემოქმედი).
სოფლსაბჭოები: შემოქმედის, ბახვის, მთისპირის, ვაკიჯვრის, ცხემლისხიდის, ლიხაურისა და ჭანიეთისა.

### აბაშის რაიონი

171. **ახალი-აბაშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ახალი-აბაშა).
სოფლსაბჭოები: ახალი-აბაშის, ქოლობანის, მარნისა და პირველი მაისისა.

172. **სუჯუნის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. სუჯუნა).
სოფლსაბჭოები: სუჯუნის, ზანათის, ნაესაკევოსი, გულეიკარ-კეთილარისა და ნორიოსი.

173. **ონტოფოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ონტოფო).
სოფლსაბჭოები: ონტოფოსი, სეფიეთის, ძველი-აბაშის, წყემის, გეზათისა და სამიქაოსი.

### ცხაკაიას რაიონი

174. **ცხაკაიას საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქალ. ცხაკაია).
ქალ. ცხაკაია და სოფლსაბჭოები: ახალ-სოფლის, თეკლათისა და ჭალადიდისა.

175. **ძველი-სენაკის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ძველი-სენაკი).
სოფლსაბჭოები: ძველი-სენაკის, შხეფის, გეჯეთის, ნოსირისა და ჩოქალაქევისა.

176. **ზანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ზანა).
სოფლსაბჭოები: ზანის, ხორშის, მენჯის, ეკის, უშაფათისა და ფოცხოსი.

### ხობის რაიონი

177. **ხობის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ხობი).
სოფლსაბჭოები: ხობის, პირველი-ხორგის, შუა-ხორგის, ქარიატის, შუა-ქვალონისა და ქვემო-ქვალონისა.

178. **საჯიჯაოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. საჯიჯაო).
სოფლსაბჭოები: საჯიჯაოსი, პირველი მაისის, ძველი-ხიბულის, ახალი-ხიბულის, ბიის, თორსადღვაბის, ხამისყურისა და ხეთისა.

### ზუგდიდის რაიონი

179. **ზუგდიდის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. ზუგდიდი).
ქ. ზუგდიდი.

180. **დარჩელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. დარჩელი).
სოფლსაბჭოები: დარჩელის, კიროვის, ანაკლიის, ახალი-კახათის, კახათის, კოკის, ორსანტიის, შამგონისა და განმუხურისა.

181. **კორცხელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. კორცხელი).
სოფლსაბჭოები: კორცხელის, ზედა-ეწერის, რუხის, ჩხორიის, ჭკადუაშის, რიყის, ოდიშისა და გრიგოლიშისა.

182. **ცაიშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ცაიში).
სოფლსაბჭოები: ცაიშის, ურთის, დიდინეძის, ჭითაწყარის, ოქტომბრის, ორულესი და ერგეტისა და ჯოლევიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

183 **ნარაზენის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ნარაზენი).
სოფლსაბჭოები: ნარაზენის, ჭაქვინჯის, ჯიხასკარის, ორჯონიკიძის, აბასთუმნის, ხეცერისა და ახალი სოფლისა.

### გეგეჭკორის რაიონი

184 **გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი- სოფ. გეგეჭკორი).
სოფლსაბჭოები: გეგეჭკორის, ინჩხურის, ნახუნოვოსი, სერგიეთის, ხუნწისა და ნაგვაზაოსი.

185. **დიდი-ჭყონის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა).
დიდი-ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და სოფლსაბჭოები: ლომაყის, ტალერის, კურზუსი, სალხინოსი და გაჭედილის.

186 **თამაკონის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი- სოფ თამაკონი).
სოფლსაბჭოები: თამაკონის, გურძემის, კიწიისა და ჭყონის ლეძამამისა ცხაკაიას რაიონიდან.

187. **ბანძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფ. ბანძა).
სოფლსაბჭოები: ბანძის, ლეხაინდრაოსი, ჯოლევის, აბედათის, ნაჯახოვოსი, ვედიდკარისა და ონოღიისა.

### ჩხოროწყუს რაიონი

188. **ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ჩხოროწყუ).
სოფლსაბჭოები: ჩხოროწყუსი, ახუთის, ლესიჭინის, კირცხისა და ლეწურწუმისა.

189. **ხაბუმეს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ხაბუმე).
სოფლსაბჭოები: ხაბუმესი. მუხურის, ნაფიჩხოვოს, ქოლისა და ნაკიანისა.

### წალენჯიხის რაიონი

190. **წალენჯიხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. წალენჯიხა).
სოფლსაბჭოები: წალენჯიხის, ობუჯის, ნაკიფუსი, ფუკისა და ჯგალისა.

191. **ლიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ლია).
სოფლსაბჭოები: ლიის, საჩინოსი, ფახულანის, ჯვარის, ჭალესი და ხუდონისა.

### ზემო-სვანეთის რაიონი

192. **მესტიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ მესტია).
სოფლსაბჭოები: მესტიის, ხაიშის, ტვიბერის, ჩუბეხევის, ლახამულის, ფარის, ცხუმარის, ეცერის, ბეჩოსი, ლატალის, ლენჯერის, მულახის, იფარის, კალისა და უშგულისა.

### ქ. ფოთი

193. **ფოთის საქალაქო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—პარტგანათლების სახლი, რუსთაველის პროსპ., № 21).
საზღვრები: მდ. რიონი, შავი ზღვის ნაპირი მდ. მალთაყვის შესართავამდე; მდ. მალთაყვის მარჯვენა ნაპირი შავი ზღვის შენაკადიდან, პალიასტომის ტბის მარცხენა ნაპირი მდ. ფიჩორის შესართავამდე; მდ. პატარა ფიჩორი მდ. დიდი ფიჩორის შესართავიდან ცხაკაიას რაიონისა და სოფ. საჯგუჩიოს (ფოთი) საზღვრამდე; სწორი ხაზი მდ. საჯგუჩიოდან მდინარე რიონის გადაკვეთით კორათის მთავარ მაგისტრალამდე; კორათის მთავარი მაგისტრალის მარცხენა მხარე ნავსადგურის საარჩევნო ოლქის საზღვრის გადაკვეთამდე; კორათის მთავარი მაგისტრალის მარცხენა მხარე ნავსადგურის საარჩევნო ოლქის საზღვრის გადაკვეთით ფოთისა და სოფელ ჭალადიდის საზღვრამდე (ბაწარიონამდე); მდ. რიონის მარცხენა მხარე სოფ. საქორქიოდან მდ. რიონის შესართავამდე.

194. **ფოთის ნავსადგურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—პარტგანათლების სახლი, რუსთაველის პროსპ., № 21).
საზღვრები: მდ. რიონი შავი ზღვიდან. პატარა-ფოთის ჩართვით, ჭალადიდის საზღვრამდე (მარჯვენა მხარე ბაწარიონამდე); ჭალადიდისა და პატარა-ფოთის საზღვარი, ბაწარიონიდან რკინიგზის სადარაჯო ბუდრუგანამდე მე-5 კილომეტრზე; მე-5 კილომეტრზე რკინიგზის სადარაჯო ბუდრუგანიდან ყულევის საზღვრამდე და ქარიატიდან სოფ. საჯიქიომდე; სწორი ხაზი, რომელიც გადაჰკვეთს მდ. ხობს, სოფ. ქარიატა და ყულევი მდ. ხობის მარჯვენა მხარეზე; ხაზი ზუგდიდის საზღვრამდე მდ. ჭურიის მარჯვენა მხარის ჩართვით შავ ზღვამდე; შავი ზღვის ნაპირი, მდ. ჭურიის შესართავიდან მდ. რიონის გადაკვეთამდე, და დიდი კუნძული.

### აფხაზეთის ასსრ
### ქ. სოხუმი

195. **სოხუმი—ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოხუმის საქალაქო საბჭო).
საზღვრები: გოგოლის ქუჩის ლუწი №№ ზღვის ნაპირიდან საბჭოს ქუჩასთან გადაკვეთამდე, საბჭოს ქუჩის კენტი №№ 1-ლი აგვისტოს ქუჩასთან გადაკვეთამდე; 1-ლი აგვისტოს ქუჩის ლუწი №№ კუიბიშევის ქუჩასთან გადაკვეთამდე; კუიბიშევის ქუჩის კენტი №№ კარლ ლიბკნეხტის ქუჩასთან გადაკვეთამდე; კარლ ლიბკნეხტის ქუჩის ლუწი ნომრები მთისძირის 1-ლ ქუჩასთან გადაკვეთამდე; მთისძირის 1-ლი ქუჩის კენტი №№ 1-19; კამანის გზატკეცილი მთისძირის 1-ლი ქუჩიდან რკინიგზის გვირაბამდე, ენგელსის ქუჩის კენტი №№ ბოტანიკურ ბაღამდე.

196. **სოხუმი—გოგოლის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—პარტიული კურსები).
საზღვრები: მდინარე გნილუშკა; ქ. სოხუმის საზღვარი გუმისტის სოფლსაბჭოსთან გოგოლის ქუჩის კენტი №№ ზღვის ნაპირიდან საბჭოს ქუჩასთან გადაკვეთამდე; საბჭოს ქუჩის ლუწი №№ 1-ლი აგვისტოს ქუჩასთან გადაკვეთამდე; 1-ლი აგვისტოს ქუჩის კენტი №№ კუიბიშევის ქუჩასთან გადაკვეთამდე; კუიბიშევის ქუჩის ლუწი №№ კარლ ლიბკნეხტის ქუჩასთან გადაკვეთამდე; კარლ ლიბკნეხტის ქუჩის კენტი №№ მთისძირის 1-ლ ქუჩასთან გადაკვეთამდე; მთისძირის 1-ლი ქუჩის ლუწი №№ 2-10 და კამანის გზატკეცილის კენტი №№ 1-17 გუმისტის სოფლსაბჭოს საზღვრამდე.

197. **სოხუმი—ბესლეთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი).
საზღვრები: ენგელსის ქუჩის ლუწი №№ ზღვის ნაპირიდან ბოტანიკური ბაღის ბოლომდე; კამანის გზატკეცილის ლუწი №№ 2-20; ქალაქ სოხუმის საზღვარი გუმისტისა და ვოლოდარსკი, სოფლსაბჭოებთან და დასვენების სახლის „სინოპის" ნაკვეთი.

### სოხუმის რაიონი

198. **სოხუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. სოხუმი)
სოფლსაბჭოები: ზემო-ეშერის, აფხაზების ეშერის, ვოლოდარსკის, კონსტანტინოვკისა და ტსხუსი.

199. **წებელდის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. წებელდა).
სოფლსაბჭოები: წებელდის, ლათის, აზანთხისა და აჟარისა.

200. **დრანდის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. დრანდა).
სოფლსაბჭოები: დრანდის, ანასტასიევკის, ვლადიმიროვკისა და ეკატერინოვკისა.

201. **გულრიპშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. გულრიპში).
სოფლსაბჭოები: გულრიპშის, მერხეულისა და ოლგინსკოესი.

202. **მიხაილოვოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. მიხაილოვო).
სოფლსაბჭოები: მიხაილოვოსი, ანდრეევსკოესი, ცხარა-შუბარის, ბეშ-ყარდაშისა და გუმისტისა.

### ოჩამჩირის რაიონი

203. **ოჩამჩირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. ოჩამჩირე).
ქ. ოჩამჩირე და სოფლსაბჭოები: ოხურეის, ილორისა და ბესლახუბისა.

204. **თამიშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. თამიში).
სოფლსაბჭოები: თამიშის, აძიუბჟის, არაკიჩის, აფხაზების ათარის, სომხების ათარის, კინდღის, ლაბრის, კვიტოულისა და ჯღერდისა.

205. **მოქვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. მოქვა).
სოფლსაბჭოები. მოქვის, გვადის, ქოჩარის, მირყულის, თხინის, ჯალის, ოთაფის. ჭილოუსი, არსაძიხის, აკვასკისა და გუფისა.

206 **ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ ტყვარჩელი).
სოფლსაბჭოები: ტყვარჩელის, ფოქვეშისა და პირველი ბედიისა და ტყვარჩელის დაბის საბჭო.

### გალის რაიონი

207. **გალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. გალი).
ქ. გალი და სოფლსაბჭოები: პირველი გალის, ცხირი-გალის, ღუმურიშის, რეფი-შეშელეთისა და მუხურისა.

208. **აჩიგვარის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. აჩიგვარა).
სოფლსაბჭოები: აჩიგვარის, გუდავის, მეორე ბედიის, წარჩესი, ოქუმისა და რეკის და აგუ ბედიისა და ჩხორტოლისა ოჩამჩირის რაიონიდან.

209. **ჩუბურხინჯის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ჩუბურხინჯი).
სოფლსაბჭოები: ჩუბურ-ხინჯის, თაგელონის, საბერიოსი, დიხაზურგის, ლეკუხონისა და რეჩხოცხირისა.

210. **ნაბაკევის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ნაბაკევი).
სოფლსაბჭოები: ნაბაკევის, გაგიდის, ფიჩორის, ოტობაიის, ზემო-ბარღების, ქვემო-ბარღების, სიდისა და ხუმუშკურისა.

### გუდაუთის რაიონი

211. **გუდაუთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქალ. გუდაუთი).
ქ. გუდაუთი და სოფლსაბჭოები: დურიფშის, ლიხნის, ბომბორისა და კულანურხვისა.

212. **ბაკლანოვკის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ბაკლანოვკა).
სოფლსაბჭოები: ბაკლანოვკის, აბგარხუკის, აჩანდარის, აცის, მწარასი, ზღვისპირის, სომხების ანუხვასი, აფხაზების ანუხვასი და ფსირცხის.

213. **ბარმიშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ბარმიში).
სოფლსაბჭოები: ბარმიშის, ლიძავის, კვაკლუკის, კალდახვარის, ბლაბურხვის, ოთხარის, მუგუძირხვის, ზვანდრიპშის, ჯირხვისა და ხუაპისა.

### გაგრის რაიონი

214. **ახალი გაგრის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. ახალი გაგრა).
ქ. გაგრა და მიხელრიპშის სოფლსაბჭო.

215. **ალახაძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ალახაძე).
სოფლსაბჭოები: ალახაძის, ახალი გაგრის, კალდახვარის, კოლხიდის, ხრისტოფოროვოსი და ხოშუპსესი.

216. **პილენკოვოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. პილენკოვო).
სოფლსაბჭოები: პილენკოვოსი, სალმესი, მეხადირისა და ხოლოდნაია რეჩკასი.

### აჭარის ასსრ
### ქ. ბათუმი.

217. **ბათუმი—ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—შრომის სასახლე, ლენინის ქ., № 13).
საზღვრები: კომკავშირის ქუჩის კენტი №№ ზღვის ნაპირიდან კომინტერნის ქუჩამდე; თბილისის ქუჩის კენტი №№ კომინტერნის ქუჩიდან ბუდიონის ქუჩამდე; ბუდიონის ქუჩის ლუწი №№ ორჯონიკიძის ქუჩამდე; ორჯონიკიძის ქუჩის ლუწი №№ ბერიას ქუჩამდე; ბერიას ქუჩის კენტი №№ ზღვამდე; ზღვის ნაპირი ბერიას ქუჩიდან კომკავშირის ქუჩამდე.

218. **ბათუმი—სტალინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სკოლის შენობა, ბარცხანის გზატკეცილი).
საზღვრები: ზღვის ნაპირიდან მდინარე ბარცხანის მარჯვენა ნაპირით რკინიგზის გადასასვლელამდე; რკინიგზის გადასასვლელით პროლეტარულ გზატკეცილამდე პროლეტარული გზატკეცილის ლუწი №№ ფრუნზეს ქუჩამდე; ფრუნზეს ქუჩის კენტი №№ „31 დეკემბრის" გზატკეცილამდე; „31 დეკემბრის" გზატკეცილი მდინარე ბარცხანამდე სასაფლაოს ტერიტორიის ჩათვლით; მდინარე ბარცხანის მარჯვენა ნაპირით ბარცხანის გადასასვლელამდე; ბარცხანის გადასასვლელით ბარცხანის გზატკეცილამდე კოფეის ქარხნის ტერიტორიის ჩათვლით; ბარცხანის გზატკეცილიდან ორთაბათუმის გზატკეცილის ქალაქის მხარით ბათუმის ნავთსადგური ქარხნების ტერიტორიამდე; ბათუმის ნავთსადგური ქარხნების ტერიტორიის საზღვრით მდინარე კოროლისწყლამდე; მდინარე კოროლისწყლის მარჯვენა ნაპირით ზღვის ნაპირამდე; ზღვის ნაპირით მდინარე ბარცხანამდე ახალშენის სოფლსაბჭოს ჩათვლით.

219. **ბათუმი—ბერიას საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—მწერალთა კავშირის სახლი, კომინტერნის ქ., № 50).
საზღვრები: კომკავშირის ქუჩის ლუწი №№ ზღვის ნაპირიდან კომინტერნის ქუჩამდე; თბილისის ქუჩის ლუწი №№ კომინტერნის ქუჩიდან ბერიას ქუჩამდე; ბერიას ქუჩის კენტი №№ თბილისის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე; ლერმონტოვის ქუჩის კენტი №№ ნურიე-გელის ტბამდე, ლერმონტოვის ქუჩის გაგრძელებაზე ზღვამდე და ზღვის ნაპირით კომკავშირის ქუჩამდე.

220. **ბათუმი—ეჟოვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ტურისტის სახლი, კიროვის ქ., № 68).
საზღვრები: ზღვის ნაპირიდან წყალსაგდები არხით, ნურიე-გელის ტბის ნაპირით; ლერმონტოვის ქუჩის ლუწი №№ ბერიას ქუჩამდე; ბერიას ქუჩის ლუწი №№ თბილისის ქუჩამდე; თბილისის ქუჩის ლუწი №№ ჯორჯიაშვილის ქუჩამდე; ჯორჯიაშვილის ქუჩის ლუწი №№ პუშკინის ქუჩამდე; პუშკინის ქუჩის ლუწი №№ ჯაფარიძის ქუჩამდე; ჯაფარიძის ქუჩის ლუწი №№ მთისძირის გზატკეცილამდე. მთისძირის გზატკეცილის ქალაქის მხარე შავი ზღვის გზატკეცილამდე; შავი ზღვის გზატკეცილის ქალაქის მხარე ართვინის გზატკეცილამდე, ართვინის გზატკეცილიდან ქალაქის საზღვრით ზღვამდე, ზღვის ნაპირი ქალაქის საზღვრიდან წყალსაგდებ არხამდე, რომელიც გადის ნურიე-გელის ტბისკენ.

221. **ბათუმი—ფრუნზეს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—წვევამდელთა კლუბი, პუშკინის ქ., № 45).
საზღვრები: ბერიას ქუჩის ლუწი №№ ზღვის ნაპირიდან ორჯონიკიძის ქუჩამდე; ორჯონიკიძის ქუჩის ლუწი №№ ბუდიონის ქუჩამდე; ბუდიონის ქუჩის კენტი №№ თბილისის ქუჩამდე; თბილისის ქუჩის ლუწი №№ ჯორჯიაშვილის ქუჩამდე; ჯორჯიაშვილის ქუჩის კენტი №№ პუშკინის ქუჩამდე; პუშკინის ქუჩის ლუწი №№ ჯაფარიძის ქუჩამდე; ჯაფარიძის ქუჩის კენტი №№ მთისძირის გზატკეცილამდე, მთისძირის გზატკეცილის ქალაქის მხარე ფრუნზეს ქუჩამდე; ფრუნზეს ქუჩის ლუწი №№ პროლეტარულ გზატკეცილამდე; პროლეტარული გზატკეცილის კენტი №№ რკინიგზის გადასასვლელამდე; რკინიგზის გადასასვლელით მდინარე ბარცხანამდე, მდინარე ბარცხანის მარცხენა ნაპირით, ზღვამდე, ზღვის ნაპირით ბერიას ქუჩამდე.

### ბათუმის რაიონი

222. **ბათუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. ბათუმი).
სოფლსაბჭოები: ურეხის, კახაბერის, კაპანდიბის, გონიოსი, სარფისა და თხილნარისა.

223. **მახინჯაურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. მახინჯაური).
სოფლსაბჭოები: მახინჯაურის და ორთა-ბათუმის და ჩაქვისა ქობულეთის რაიონიდან.

### ქობულეთის რაიონი

224. **ქობულეთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. ქობულეთი).
სოფლსაბჭოები: ვოროშილოვის, ხალასი, ციხისძირის, დაგვისა და კვირიკესი.

225. **მუხა-ესტატეს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი- სოფ. მუხა-ესტატე).
სოფლსაბჭოები: მუხა-ესტატესი. ქობულეთის, ლეღვასი, ქაქუთის, ზერაბოსელის, ჩახათისა და ხუცუბნისა.

### ქედის რაიონი

226. **ქედის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფ. ქედა).
სოფლსაბჭოები: ქედის, პირველი მაისისა და მახუნცეთის და აჭარისამართის, აჭარისწყლისა და კირნათისა ბათუმის რაიონიდან.

227. **ცხმორისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ცხმორისი).
სოფლსაბჭოები: ცხმორისის, დანდალოსი, მერიის. ალიქ-ოღლების და ზვარის და ჩვანის, ბარათაულისა და წყლის-საყარისა ხულოს რაიონიდან.

### ხულოს რაიონი

228. **ხულოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ხულო).
სოფსაბჭოები: ხულოსი, დიდაჭარის ღორჯომის, აგარის, დიოკნისისა და რიყეთისა.

229. **შუახევის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. შუახევი).
სოფლსაბჭოები: შუახევის, ხიხაძირის, სხალთის, ყინჩაურის, შუბანის, ყარადერესი, დღვანისა და უჩამბისა.

### სამხრეთ-ოსეთის ა. ო.
### ქ. სტალინირი

230. **სტალინირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—კულტურის სახლი).
ქ. სტალინირი და პრისის სოფლსაბჭო სტალინირის რაიონიდან.

### სტალინირის რაიონი

231. **სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. სტალინირი, საოლქო სამომხმარებლო კავშირის კლუბი).
სოფლსაბჭოები: ძარის, ვანათისა და წუნარის და ავნევისა და ზოვლეთისა ზნაურის რაიონიდან.

232. **ქსუისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფ. ქსუისი).
სოფლსაბჭოები: სათიხარის, არცევის, ბელოთისა და ბიყარის,

### ლენინგორის რაიონი

233 **ლენინგორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი - სოფ. ლენინგორი).
სოფლსაბჭოები: ლენინგორის, ძიმირის. საფერშეთის. კორჭოხის, ჩურთის, კორინთისა და მონასტრისა.

234. **ძუკატიკაუს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფ. ძუკატიკაუ).
სოფლსაბჭოები: წინაკარის. ველურის. ზახორის. სარბიელისა და ბეჟანთკაუსი და ღრომისა სტალინირის რაიონიდან.

### ზნაურის რაიონი

235. **ზნაურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ზნაური).
სოფლსაბჭოები: ზნაურის, ყორნისის, თერეღვანის, ბალთისა და ქვემო-ოქონისა.

### ჯავის რაიონი

236. **ჯავის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფ. ჯავა).
სოფლსაბჭოები: ჯავისა და ყემულთოსი და ქემერთის, გერტესი და ქურთისა სტალინირის რაიონიდან.

237. **ხვცის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—სოფ. ხვცე).
სოფლსაბჭოები: ხვცესი. ვანელის, როკის, ურს-თუალის, ჩეშელთის, კიროვის, წონისა და თედელეთისა.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:

**ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი:

**გ. ბუჯიაშვილი**

1938 წლის 11 აპრილი.
ქ. თბილისი.

# არტელ „რაჭასთან" არსებული პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება

10 აპრილს შესდგა არტელ „რაჭასთან" არსებული პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

პარტიული კრება გულდასმით ისმენდა პარტკომის მდივნის ამხ. მ. ფირანიშვილის საანგარიშო მოხსენებას პარტკომის მუშაობის შესახებ.

როგორ მუშაობდა არტელ „რაჭასთან" არსებული პარტორგანიზაცია?

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიულმა კომიტეტმა თავი ვერ გაართვა პარტიული ორგანიზაციის ზრდისა და თანამგრძნობთა და კომკავშირელთა შორის მუშაობის ამოცანებს. ორგანიზაციამ პარტიის რიგებში მხოლოდ 8 კაცი მიიღო, მაშინ, როდესაც უფრო მეტის მიღების შესაძლებლობა იყო; არ იზრდება თანამგრძნობთა რიცხვი.

ცუდად არის დაყენებული აგიტაცია, პარტიული პროპაგანდა და პოლიტიკური აგიტაცია. ეს საქმე თვითდინებაზეა დაყრდნობილი, პარტიული კომიტეტი არ ამოწმებდა პოლიტსკოლებში კომუნისტების დასწრებას, პარტიული კომიტეტის სხდომაზე და საერთო პარტიულ კრებაზე არ ისმენდა პროპაგანდისტების თვითანგარიშს პოლიტსკოლების მუშაობის შესახებ.

სუსტი იყო პარტკომის ხელმძღვანელობა პოლიტიკური აგიტაციის დარგში. მართალია, გამოყოფილია 20-ზე მეტი აგიტატორი, ყველანი მიმაგრებული არიან წერტებზე, მაგრამ ფაქტიურად ბევრ წერტში აგიტაციას არ ეწევიან (მაგალითად, № 2 წერტში აგიტატორი არცერთხელ არ მოსულა). ეს იმიტომ ხდება, რომ პარტკომმა აგიტატორები მხოლოდ გამოჰყო და წერტებზე მიამაგრა, მათი მუშაობა კი არცერთხელ არ შეუმოწმებია.

პარტორგანიზაციაში მოდუნებული იყო რევოლუციური სიფხიზლე. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ ხალხის ნამდვილი მტრების მიმართ, რომლებიც ახლა უკვე განადგურებული არიან, პარტკომმა და ცალკეულმა კომუნისტებმა ვერ გამოიჩინეს რევოლუციური სიფხიზლე, დროზე ვერ ამხილეს ისინი, ხოლო ისეთი კომუნისტები, რომელთაც მტრებთან საერთო არაფერი ჰქონდათ (გაბუნია, ბურდული და სხვ.), პარტიიდან ხელაღებით და შეუმოწმებლად გარიცხეს.

პარტორგანიზაციის სუსტმა მუშაობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა არტელ „რაჭის" სამეურნეო საქმიანობაზეც. არტელმა ვერ შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა, ფაქტიურად აქ ჩაშლილია სტახანოვური მოძრაობა, კულტმასობრივი მუშაობა, არტელის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია და სხვ.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში პარტკომის მუშაობის მკაცრი ბოლშევიკური კრიტიკითა და თვითკრიტიკით გამოვიდა 11 კომუნისტი.

რატომ არის ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობა სუსტი? — ამბობს ამხ. ს. ექსეულიძე, — იმიტომ, რომ ჩვენს ორგანიზაციაში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას პარტიული დისციპლინა. კომუნისტები არ გრძნობენ თავს განსაზღვრულ პარტიულ ჩარჩოში. მათ ეძლევათ დავალება, ისინი კი არ ასრულებენ. მაგალითად, პარტისტორიის შემსწავლელ წრეში არცერთი კომუნისტი კონსპექტს არ ადგენს და მეცადინეობაზე მოუმზადებელი მიდის. ასევე უდისციპლინოდ იქცევიან აგიტატორებიც. პარტკომის მდივანს ამხ. მ. ფირანიშვილს პარტიული დავალების შეუსრულებლობისათვის არცერთი კომუნისტის მიმართ არ მიუღია რაიმე რეალური ზომა.

მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ამხ. თ. გრძელიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტკომის მუშაობა თვითდინებაზე იყო დაყრდნობილი.

პარტიულმა კრებამ პარტკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სცნო.

კრებამ აირჩია პარტკომის ახალი შემადგენლობა. პარტკომის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ს. ჯანყარაშვილი, მოადგილეებად მ. ფირანიშვილი და შ. ექსეულიძე.

თბილისის 26 კომ. რაიონის პარტკონფერენციაზე გასაგზავნად კრებამ აირჩია 3 დელეგატი.

**ქ. მაჭარაშვილი.**



ფეხსაცმელის ახალი ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. ახლოულაძე თავის მოადგილეებთან ამხ. გ. მჭედლიშვილთან და გ. წიკლაურთან ერთად ამზადებს დღისწესრიგს მორიგი პარტიული კრებისათვის.

ფოტო რ. აკოფოვისა

## საფრანგეთის ახალი მთავრობა

**პარიზი**, 10 აპრილი (საკდესი). დალადიემ შექმნა საფრანგეთის ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ნაციონალური თავდაცვის მინისტრი—ედუარდ დალადიე (რადიკალ-სოციალისტი); მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მთავრობის მოქმედებათა კოორდინაციის მინისტრი—შოტანი (რადიკალი); იუსტიციის მინისტრი — პოლ რეინო (მემარცხენე რესპუბლიკელი); ავიაციის მინისტრი — გი ლა შამბრი (რადიკალ-სოციალისტი); ფინანსთა მინისტრი—მარშანდო (რადიკალი); საზღვაო მინისტრი—კამპინკი (რადიკალ-სოციალისტი); პენსიათა მინისტრი—შამპეტიე დე რიბი (უპარტიო); ვაჭრობის მინისტრი—ჟანტენი (რადიკალ - სოციალისტი); სახალხო განათლების მინისტრი—ჟან ზეი (რადიკალ-სოციალისტი); ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი—რიუკარი (რადიკალ-სოციალისტი); შინაგან საქმეთა მინისტრი—ალბერ სარო (რადიკალი); საგარეო საქმეთა მინისტრი—ჟორჟ ბონე (რადიკალი); კოლონიების მინისტრი—მანდელი (დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ჯგუფი); მიწათმოქმედების მინისტრი—კეირი (რადიკალი); საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი—ფროსარი (სოციალისტური და რესპუბლიკური კავშირი); შრომის მინისტრი—რამადიე (სოციალისტური და რესპუბლიკური კავშირი); ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი—ჟულ ჟულიენი (რადიკალი); სავაჭრო ფლოტის მინისტრი—დე მაპდელენი (მემარცხენე დემოკრატი) და სახალხო მეურნეობის მინისტრი—რაიმონ პატენოტრი (სოციალისტური და რესპუბლიკური კავშირი).

## სოციალისტებმა უარი სთქვეს დალადიეს მთავრობაში მონაწილეობაზე

**პარიზი**, 10 აპრილი (საკდესი). სოციალისტური პარტიის ნაციონალურმა საბჭომ უარჰყო სოციალისტური პარტიისათვის მიცემული წინადადება დალადიეს მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.

ნაციონალური საბჭოს სხდომაზე გამოსულმა ბლიუმმა აღიარა, რომ მთავრობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა კონსტიტუციის მიხედვით არ იყო ვალდებული დაეთმო სენატისათვის და მას მოეპოვებოდა სენატის პოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი. ამისთვის მთავრობას უნდა მიემართნა საფრანგეთის მუშათა მასებისათვის, მაგრამ ბლიუმმა ვერ სცნო შესაძლოდ გადაედგა ეს ნაბიჯი, რადგან, მისი სიტყვით, „საფრანგეთისა და ევროპის ახლანდელი მდგომარეობის დროს ეს ავანტურის რისკის წინაშე დააყენებდა საფრანგეთს". „სახალხო ფრონტის გარშემო ნაციონალური ერთიანობის მთავრობის შექმნის იდეა,—განაცხადა ბლიუმმა, — ადრე თუ გვიან აუცილებლად განხორციელდება. მაგრამ ის, რასაც ამჟამად სოციალისტებს სთავაზობენ, არ წარმოადგენს არც სახალხო ფრონტის მიხედვით ზუსტად შედგენილ მთავრობას, არც სახალხო ფრონტის გარშემო ნაციონალური ერთიანობის მთავრობას".

სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია უფლებას აძლევს პარტიის თვით საპარლამენტო ჯგუფს პარტიის ადმინისტრატიულ კომისიასთან ერთად გადასწყვიტოს დალადიეს მომავალ მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხი.

## საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს კომუნიკე

**პარიზი**, 10 აპრილი (საკდესი). „ლუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ პარტიის პოლიტბიურომ და საპარლამენტო ჯგუფის ბიურომ, რომელნიც შეიკრიბნენ გაერთიანებულ სხდომაზე 9 აპრილს, განიხილეს მთავრობის კრიზისის შედეგად შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ ბლიუმის მთავრობა „გადადგა ისე, რომ არ დასვა ნდობის საკითხი. იგი გადადგა ისე, რომ სახალხო ფრონტის ორგანიზაციებს არ გამოუთქვამთ თავისი აზრი, იგი არ შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, თუმცა კონსტიტუცია იძლევა ასეთ შესაძლებლობას, და მშრომელი მასები მოითხოვენ წინააღმდეგობის გაწევას".

„პოლიტბიურო და საპარლამენტო ჯგუფის ბიურო, — ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, — საჭიროდ სთვლიან შედგენილ იქნას ისეთი მთავრობა, რომელიც პატივსა სცემს ხალხის ნება-სურვილს, და იცავს საფრანგეთის მშრომელი მოსახლეობის ინტერესებსა და მზად იქნება დაუზოგავად დასაჯოს ფაშისტი შეთქმულნი საფრანგეთში — სამოქალაქო ომის გამჩაღებელნი. მთავრობა მზად უნდა იყოს მიიღოს ენერგიული ღონისძიებანი მსხვილი ბურჟუაზიის ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც იწვევენ წარმოების დეზორგანიზაციას, სოციალური კონფლიქტების პროვოკაციას და ზიანს აყენებენ ნაციონალური თავდაცვის საქმეს. იგი უნდა წარმოადგენდეს მთავრობას, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს დაიცვას მშვიდობიანობა და არც ჩვენი ქვეყნის შიგნით, არც მის გარეთ ხელი არ შეუწყოს საერთაშორისო ფაშიზმისა და მისი აგენტების ხრიკებს საფრანგეთის წინააღმდეგ".

დასასრულ კომუნიკე ლაპარაკობს „კომუნისტური პარტიის ურყევ ერთგულებაზე პურის, თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის ბრძოლის სახალხო ფრონტისადმი" და გამოსთქვამს „პარტიის მზადყოფნას ყველაფერი გააკეთოს საფრანგეთის ხალხის საჭირო ერთიანობის განხორციელებისათვის".

## რესპუბლიკელთა 200 თვითმფრინავის ფრენა ბარსელონაზე

**პარიზი**, 9 აპრილი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ მთავრობის 200 თვითმფრინავი დღეს ბარსელონაზე დაფრინავდა. ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც ხმამაღლა გამოხატავდა სიხარულს. თვითმფრინავებმა ათასობით ფურცელი ჩამოჰყარეს, რომლებიც რესპუბლიკური მთავრობის მეთაურის სიტყვის ამონაწერებს შეიცავდნენ.



აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადა მოსკოვში.

სურათზე: მ. მაგომაევის ოპერის „ნერგიზის" მესამე აქტი.

## ჩინეთის ჯარმა დაიკავა ძინანი

**ლონდონი**, 9 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, ჩინეთის სარდლობამ განაცხადა, რომ ჩინეთის ჯარი ძინანის (შანდუნის პროვინციის დედაქალაქი) გარეუბანში შევიდა და ბრძოლას ქუჩებში აწარმოებს. აქ მომქმედი ჩინელთა ჯარი შეადგენს იმ ჯგუფის ნაწილს, რომელმაც ორი კვირის წინათ გადალახა ჩინეთის დიდი არხი. ამ ჯგუფის მეორე ნაწილი გაემართა სამხრეთით, რათა ზურგიდან შეუტიოს იაპონიის იმ ჯარებს, რომლებიც სიუიჯოსთან იბრძვიან.

## იაპონიის ავიაციის თავდასხმები

**ხანკოუ**, 9 აპრილი (საკდესი). 8 აპრილს იაპონელთა 22 თვითმფრინავმა 10 ყუმბარა ჩამოაგდო კანტონ-ხანკოუს რკინიგზაზე კანტონის გარეუბნებში. ამავე დღეს 8 ყუმბარა ჩამოაგდეს ქალაქ ამოას სამხრეთ ნაწილში. 6 აპრილს ამოას ბომბარდირების დროს ჩინეთის საზენიტო ქვემეხებმა ჩამოაგდეს იაპონელთა ორი თვითმფრინავი.

7 აპრილს იაპონელთა 8 თვითმფრინავმა 20 ყუმბარა ჩამოაგდო ქალაქ ტუნგუანის (შანსის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი) გარეუბნებში. ბომბარდირების დროს მოკლულია 11 კაცი. ამავე დღეს 5 ყუმბარა ჩამოაგდეს ქალაქ შანსიანში. (ტუნგუანის აღმოსავლეთით). დაინგრა რამდენიმე სახლი.

## ესპანეთის ფრონტებზე

### აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ჰავასის სააგენტოს ცნობით, მთელ ხაზზე ტრემპიდან ტორტოსამდე რესპუბლიკელთა ჯარი, რომელმაც დამხმარე ძალები მიიღო, ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს მეამბოხეთა წინსვლას კატალონიისაკენ. მხოლოდ მორელასა და მორა დე ლა ნუევას რაიონში, მდინარე ებროს მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, მეამბოხეთა ნაწილებმა მოახერხეს რამდენადმე წინ წაწევა. ამჟამად ფრონტის ხაზი სტაბილიზებულია მდინარე ებროს გასწვრივ; გზა ვალენსიისაკენ თავისუფალია. მაღლობებზე, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს და სანგრებითაა გამაგრებული, რესპუბლიკელთა დამკვრელი ნაწილები ზღვის მისასვლელებს იცავენ. მეამბოხეთა კოლონების შეტევა შენელდა.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მეამბოხეებმა, გადავიდნენ რა მდინარე ნოგერის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ სორტის რაიონში მოახდინეს დაზვერვა. ტრემპის რაიონში მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს სოფელ ისონაზე, რომელიც მათ დაიკავეს, მაგრამ რესპუბლიკელთა ნაწილებმა კონტრშეტევის შემდეგ კვლავ აიღეს ისონა. ვალიბონის რაიონში მეამბოხეებმა წინ წაიწიეს მონსიაკრესა და ტურმელის მაღლობებამდე.

### ცენტრალური ფრონტი

ესტრამადურის სექტორში მეამბოხეთა ჯარმა, უკანასკნელი დღეების დანაკლისის შემდეგ, საბრძოლო ხაზზე გადაისროლეს მნიშვნელოვანი შეიარაღებული მასები და იერიში მიიტანეს სოფელ კარა სკალიე ხოზზე, რომლის გარშემოც გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს. რესპუბლიკელებმა ტყვედ იგდეს რამდენიმე მეამბოხე. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ᲓᲓ

ჰავასის სააგენტოს ცნობით რესპუბლიკელთა ჰიდროთვითმფრინავები 9 აპრილს თავს დაესხნენ ალმერიის წყლებში მცურავ ფაშისტთა წყალქვეშა ნავებს. ეს ნავები ალბათ ჩაძირულ იქნენ, რადგან შემდეგ ჰიდროთვითმფრინავებმა ზღვის ამ ნაწილში ფაშისტთა წყალქვეშა ნავების ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს.

რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ტალავერასა და პუენტე დელ არსობისპოს რაიონში შეჯგუფებულ მეამბოხეებს. რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე გზებსა და მეამბოხეთა დაჯგუფებებს იმ რაიონში, რომელიც მდინარე ებროს ეკვრის. ფაშისტთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ტორტოსას, სანტა მადალენას, სანტა ბარბარასა და ალიკანტეს.

## ფაბრიკა-გიგანტი

**ჭიათურა**, (საკ. კორ.). ჭიათურაში შენდება მარგანეცის ახალი გამაუხვებელი ფაბრიკა, რომელიც აგებული იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

პროექტით ფაბრიკამ საათში 22 ტონა პეროქსიდი უნდა მოგვცეს. მისი კორპუსი წარმოადგენს მრავალსართულიან რკინა-ბეტონის ნაგებობას 20.000 კუბიკური მეტრის მოცულობით, მოწყობილობა მთლიანად დამზადებული იქნება საბჭოთა ქარხნებში, ფაბრიკას ააგებენ და დაამონტაჟებენ საბჭოთა სპეციალისტები.

ფაბრიკის მშენებლობას უკვე შეუდგნენ, იგი წელსვე, მეოთხე კვარტალში უნდა დამთავრდეს. ფაბრიკის ძირითადი კორპუსის აგებაზე დაიხარჯება 1.600.000 მანეთი. გარდა ძირითადი კორპუსისა, მას ექნება მთელი რიგი დამხმარე ნაგებობანი, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ პეროქსიდის გამაუხვებელ გიგანტს. ამათთან ერთად ფაბრიკის მთელი ღირებულება დაახლოებით 3.325.000 მანეთს უდრის.

## ქრონიკა

1938 წლის 11 აპრილს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საფოსტო გზავნილების გაცვლის შესახებ სსრ კავშირის და ფინეთის შორის. სსრ კავშირის მხრით შეთანხმებას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა და ფინეთის მხრივ საგანგებო ელჩმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბარონმა ა. ს. ირიე-კოსკინენმა. (საკდესი).

## ხელოვნება

### „ლადო კეცხოველი"

დღეს, 12 აპრილს, მოზარდ მაყურებელთა ქართულ სახელმწიფო თეატრში მიდის მორიგი პრემიერა—გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის პიესა „ლადო კეცხოველი".

მთავარ როლებს ასრულებენ გ. აბაშიძე, გ. დარისპანაშვილი, ნ. გვარაძე, ა. ყიასაშვილი, ვ. არეშიძე, ნ. მიქაშავიძე, ნ. სირბილაძე, მ. ციციშვილი, თ. თვალიაშვილი, მ. ალიაშვილი, ა. კაჭკაჭიშვილი.

დადგმა ბ. გამრეკელისა, მხატვარი მ. გოცირიძე, მუსიკა ვ. შავერზაშვილისა.

ᲓᲓ

### „ფოლადაური"

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ მიიღო რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში დასადგმელად დრამატურგ სანდრო შანშიაშვილის ახალი 4 მოქმედებიანი პიესა „ფოლადაური".

პიესა აგებულია საკოლმეურნეო თემატიკაზე.

ᲓᲓ

### ზ. გაიდაი და პლატონოვი „დაისში" და „ევგენი ონეგინში"

კიევის სახელმწიფო ოპერის სოლისტები, დამსახურებული არტისტები ზოია გაიდაი და პლატონოვი, რომლებიც ამჟამად თბილისში იმყოფებიან, 14 აპრილს იმღერებენ ოპერა „ევგენი ონეგინში". ოლღას როლს შეასრულებს ზ. გაიდაი, ხოლო პლატონოვი გამოვა ლენსკის როლში.

16 აპრილს ზ. გაიდაი და პლატონოვი გამოვლენ ოპერა „დაისში"; გაიდაი შეასრულებს მარის როლს, ხოლო პლატონოვი—კიაზოს როლს. უკრაინელი მომღერლები პარტიებს უკრაინულ ენაზე შეასრულებენ.

ᲓᲓ

### ფ. მუხტაროვა თბილისში

თბილისის ლენინის ორდენოსან სახ ოპერისა და ბალეტის თეატრის მოწვევით საგასტროლოდ ჩამოვიდა ოპერის ცნობილი მომღერალი ქალი ფატმა მუხტაროვა. მუხტაროვა ორჯერ იმღერებს „კარმენში" და გამოვა აგრეთვე ოპერა „ტრუბადურში".

## ნეკროლოგი

### სანდალა ხ[illegible]

9 აპრილს გარდაიცვალა ქართული სცენის ერთერთი უძველესი მუშაკი სანდალა (ალ. გაჩეჩილაძე).

ბოლო ხანებში სანდალა ავადმყოფობამ აიძულა სცენას ჩამოშორებოდა. მაგრამ იგი მაინც ყოველთვის მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული თეატრის მუშაობაში, როგორც მსახიობთა კავშირის მდივანი.

უკანასკნელ 5 წელს იგი გამუდმებით მუშაობდა ქართული თეატრის მუზეუმის შექმნა-განმტკიცებაზე, როგორც მისი მეცნიერი-მუშაკი.

დასწერა ვრცელი მონოგრაფია ქართული თეატრის ერთერთ დედაბოძ ვასო აბაშიძეზე. მუშაობდა აგრეთვე ქართული თეატრის ისტორიის მასალების დაგროვებაზე. დიდის მონდომებით ამუშავებდა მეტად საინტერესო შრომას — „ქართული თეატრის რეპერტუარის ისტორია", რომლის დამთავრება არ დასცალდა.

სანდალას სახით ჩვენ დავკარგეთ ქართული თეატრის ერთგული, თავდადებული, დამსახურებული მუშაკი.

შალვა დადიანი, დ. ანთაძე, აკ. ფაღავა, ლ. კანდელაკი, ა. სტურუა, ვ. ბალანჩივაძე, ი. იმედაშვილი, დ. ჯანელიძე, თ. ჭავჭავაძე, ა. ნიკოლაძე, ე. კვირკველია, მ. ბერიაშვილი, შ. იმედაშვილი, ნ. მამულაიშვილი, გ. იორდანაშვილი.

## ელვის შესწავლა

**მოსკოვი**, (საკ. კორ.). მოსკოვიდან ბაკურიანში გაემგზავრა ელვის შემსწავლელი ექსპედიცია. ექსპედიცია ბორჯომის რაიონში, ზღვის დონიდან 2.600 მეტრის სიმაღლეზე დასდგამს ლაბორატორიას, რომელიც შეიარაღებული იქნება ელვის შემსწავლელი, ყველაზე სრულქმნილი მექანიზმებით.

ექსპედიციის ამოცანას შეადგენს აგრეთვე ღონისძიებათა შემუშავება საწარმოთა და კოლმეურნეობათა ელექტროქსელების ჭექა-ქუხილისაგან დასაცავად.

## ფეხბურთი

10 აპრილს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგა საქართველოს ქალაქების (ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, სოხუმი, ოჩამჩირე, ხაშური) ნაკრები გუნდისა და თბილისის „დინამოს" ოსტატთა დუბლიორების ამხანაგური მატჩი.

შეჯიბრება დამთავრდა ოსტატთა დუბლიორების გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ᲓᲓ

დღეს, 12 აპრილს, მოსკოვის „მეტალურგის" ოსტატთა გუნდი თბილისში ჩაატარებს მეორე საწრთვნელ-ამხანაგურ შეხვედრას. ამ დღეს მოსკოველების წინააღმდეგ გამოვა თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდი.

მატჩი დაიწყება დღის 2 საათზე.

## პარტკალენდარი

13 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში კომკავშირის აქტივისათვის შესდგება პროფ. ათაბეგოვის მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: ჩინეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა.

შესვლა საშვები ბარათებით.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

## რუსეთის დიდი დრამატურგი ა. ოსტროვსკი



თავის შესანიშნავ წერილში „თერგდალეულნი და ახალი თაობა" ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ძველი თაობა—თერგდალეულნი, აღიზარდნენ რუსეთის მდიდარ მწერლობა-მეცნიერებაზე, რომ ამ თაობამ სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენს ქვეყანას მოჰფინა „საყოველთაო ნათელი აზრები და გამოაღვიძა მიძინებული საზოგადო აზრიო". შემდეგ ჩვენი დიდი მწერალი და პუბლიცისტი განაგრძობს: „ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ რუსული მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესოა და განსაკუთრებული ხასიათისაა, რომ ორივე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მართლაც, რუსეთი ყოველმხრივ იმდენად შესანიშნავია, რომ დაწინაურებული ევროპა... ჰკვირობს რუსეთის მწერლობის სიმდიდრესა და თავისებურებას. ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის" (თხზულებანი, ტ. 9, გვ. 82).

ილია ჭავჭავაძის ეს აზრი რუსული და ქართული კულტურის მჭიდრო კავშირის, რუსეთის ცხოვრების, მწერლობის უფრო ზედმიწევნით შესწავლის შესახებ წარმოადგენდა ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეების გაბატონებულ აზრს.

ქართველი და რუსი ხალხის მოწინავე პროგრესულ წრეებს შორის მუდამ არსებობდა განუწყვეტელი კულტურული ურთიერთობა, ერთმანეთ შორის მეგობრობა და ეს იმ დროს, როდესაც რუსეთის ცარიზმი — მტერი რუსი ხალხისა, — ყოველმხრივ სჩაგრავდა და აწამებდა მრავალტანჯულ ქართველ ხალხსაც.

ამ მეგობრობისა და კავშირის საუკეთესო მაჩვენებელია რუსეთის უდიდესი დრამატურგის — ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ოსტროვსკის ყოფნა საქართველოში, და მასთან ქართველი ხალხის მოწინავე ფენების დამოკიდებულება.

1883 წ. 7 ოქტომბერს ყოველდღიურმა ქართულმა გაზეთმა „დროებამ" აუწყა მკითხველებს, გუშინ, 6 ოქტომბერს რუსეთიდან თბილისში ჩამობრძანდა რუსეთის გამოჩენილი დრამატურგი ა. ოსტროვსკიო. ამ დროისათვის ა. ოსტროვსკი საკმაოდ ცნობილი იყო საქართველოში. ახლად ფეხადგმული ქართული თეატრის რეპერტუარში მას ღირსეული ადგილი ეჭირა.

ხუთშაბათს. 1883 წ. 20 ოქტომბერს ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად გაიმართა საღამო. „დროება" (1883 წ. 22 ოქტომბერი) ასე აგვიწერს ამ საღამოს. დანიშნულ ვადაზე „როგორც თვით თეატრი, ისე მთელი არწრუნის გალერეია ხალხით გაივსო... 7½ საათზე დაუკრა ზურნამ და ჩირაღდნებით და ბენგალის ცეცხლით განათებულ კიბეზე ამოვიდა ა. ნ. ოსტროვსკი. ამოსავალზედვე მომართული იყო ტრანსპარანტი, რომელზედაც ეწერა დიდის ასოებით: სალამი მოხუცს დრამატურგს!.. სცენაზე იყო მოგროვილი მთელი ქართული დასი ნაციონალურ კოსტიუმებში. ხალხში ჩამოვარდა სიჩუმე — და „დასის გამგებელმა" ვასო აბაშიძემ წაიკითხა რუსულად შესანიშნავი ადრესი ოსტროვსკის მისამართით.

ადრესის წაკითხვის შემდეგ მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა ოსტროვსკის ლოჟისაკენ და აღტაცებულის ტაშისკვრით განუცხადა თავისი თანაგრძნობა მაღალ-ნიჭიერ სტუმარს.

მოხუცი დრამატურგი რამდენიმეჯერ ფეხზე წამოდგა და აღელვებით მადლობა გამოუცხადა საზოგადოებასო", დასძენს გაზეთი.

შემდეგ მხცოვან დრამატურგს საკუთარი ლექსით მიმართა ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა ა. ცაგარელმა.

ამ ლექსის შემდეგ ორკესტრმა დაუკრა მრავალჟამიერი, რომელიც „საზოგადოებამ ამავე აღტაცებით მიიღო", ამბობს „დროება".

ამის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა: პირველად დაიდგა ოსტროვსკის პიესის „შემოსავლიანი ადგილის" მეორე მოქმედება, რომლის შემდეგ „სტუმარს მიართვეს დაფნის გვირგვინი და საზოგადოებამ მესამედ განუცხადა მადლობა ამ ჩინებული პიესის ავტორს".

ასე არაჩვეულებრივი პატივისცემითა და თანაგრძნობით მიიღო ქართველმა საზოგადოებამ რუსეთის უდიდესი მოღვაწე, რუსეთის დრამატურგიის ცენტრალური ფიგურა. ქართველი ხალხის სახელით ქართველმა მოღვაწეებმა ოსტროვსკის მიმართეს: „თქვენ წმინდა რუსეთის სურათებს შეუძლიანთ აუღელვონ გული და გონება არა მარტო რუსეთის საზოგადოებას, თქვენი სახელი ისეთივე სასიქადულოა აქ, საქართველოში, როგორც იქ, რუსეთში".

ქართველი ხალხის მიერ ასეთმა გულთბილმა მიღებამ ულრმესი შთაბეჭდილება მოახდინა მოხუც დრამატურგზე.

წარმოდგენის ანტრაქტის დროს ა. ნ. ოსტროვსკი კულისებში შევიდა და დასს უთხრა: „მე უწინაც გამიგონია, რომ ქართველებს თეატრის კარგი დასი ჰყავთ და დღეს ვხედავ, რომ ეს აზრი სრული სიმართლე ყოფილა". ოსტროვსკი დიდხანს ესაუბრა ქართველ არტისტებს, რომ მათ შექმნათ მეტად დარაზმული მუდმივი დასი უფრო მტკიცე საფუძვლებზე. კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვთან საუბრის დროს დაჟინებით მოითხოვა ქართული თეატრისათვის მთავრობის დახმარება. „მაგრამ ეს მისი მოთხოვნა-სურვილი უშედეგო დარჩა", ამბობს რუსი მუსიკალური მოღვაწე — თბილისში დიდხან მომუშავე მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი თავის წიგნში „რუსეთის მუსიკის 50 წელი მოგონებებში".

თუმცა ა. ოსტროვსკისათვის „ძნელი იყო ქართული სიტყვის თავისებურებაში გარკვევა,—იგონებს იპოლიტოვ-ივანოვი,— მაგრამ ქართველი არტისტების „ნიჭიერმა და გულწრფელმა შესრულებამ მასზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა". დიდმა დრამატურგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ნიჭიერ მსახიობ ქალს გაბუნიას, რომელიც მაშინ მკაფიოდ გამოირჩეოდა ახალგაზრდა ქართველ მსახიობ-ქალთა შორის". საერთოდ, — დასძენს მოგონების ავტორი, „ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს ძლიერ აინტერესებდა ქართული თეატრის მდგომარეობა, რომლის რიჟრაჟი ახლახან იწყებოდა".

ცნობილია, თუ რა ძლიერ უყვარდა ა. ნ. ოსტროვსკის ხალხური სიმღერა. ყველაზე მეტად ზნეჩვეულებითი, რომელშიაც ის ხედავდა ხალხის წარსულის ნაშთებს. „სიმღერა სულია ხალხისა", ამბობდა ის. იპოლიტოვ-ივანოვი იხსენებს ამბავს, თუ როგორ სთხოვდა მას ოსტროვსკი გაეცნო მისთვის ქართული სიმღერები.

ა. ოსტროვსკი მთელ თვეს დარჩა თბილისში. შემდეგ იმოგზაურა კახეთში რთველის დროს. წარჩინებულ სტუმარს პატივისცემითა და აღტაცებით ხვდებოდნენ. იპოლიტოვ-ივანოვი თავის მოგონებაში აღწერს, თუ რა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ოსტროვსკიზე საქართველოში მოგზაურობამ. ის თურმე ოცნებობდა იმაზე, რომ საქართველოში შემდეგაც ჩამოსულიყო.

ა. ოსტროვსკის საქართველოში მოგზაურობამ კიდევ უფრო გაზარდა ჩვენში დიდი დრამატურგის პოპულარობა და სიყვარული მისდამი. ამის მაჩვენებელია ის გამოხმაურება, რომელიც ჰპოვა ქართულ პრესაში დიდი დრამატურგის გარდაცვალებამ.

გაზეთმა „ივერიამ", რომელსაც ი. ჭავჭავაძე რედაქტორობდა, 1886 წ. 11 ივნისს მოათავსა განსვენებულის ნეკროლოგი.

„სამ ივნისს დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი დრამატურგი ალ. ნიკ. ოსტროვსკი... ოსტროვსკი რუსეთის სახალხო მწერალი იყო, სულ ხალხში ტრიალებდა, ხალხის ცხოვრებას და ავსა და კარგს თვალს ადევნებდა... ორმოცი წელიწადი იღვაწა ამ მოხუცმა რუსეთის სცენისათვის და ამ ორმოც წელიწადში რუსეთს დიდი სარგებლობა მოუტანა. რუსეთის სცენას საძირკველი გაუდგა თავისი ნაწარმოებებით..."

დასასრულ, გაზეთი იგონებს ა. ნ. ოსტროვსკის ყოფნას საქართველოში და სწერს: „1883 წელს განსვენებული თბილისში იყო. ქართულმა დასმა წარმოდგენაზე მიიწვია და დიდის სიამოვნებით მიიღო ქართველმა საზოგადოებამ სახელგანთქმული მწერალი".

დიდი პატივისცემით და მოწიწებით იხსენიებს განსვენებულ დრამატურგს ყოველკვირეული ლიტერატურული და სამხატვრო გაზეთი „თეატრი", რომელსაც ვასო აბაშიძე რედაქტორობდა.

„გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი მწერალი და მაღალნიჭიერი დრამატურგი ა. ნ. ოსტროვსკი. ეს დაუფასებელი მწერალი ოცდაათწელიწადზე მეტს შრომობდა რუსული თეატრისათვის. მის პიესებს პირველი ადგილი უჭირავს რუსულ დრამატიულ მწერლობაში".

გაზეთმა „კვალმა" (№ 34, 1910 წ.) ყურადღება მიაქცია ოსტროვსკის შემოქმედების ერთ ფრიად მნიშვნელოვან მხარეს — ზნეობის საკითხს. ოსტროვსკი და სალტიკოვი ზნეობრივ ამაღლებას ქადაგებდნენ და უზნეობას სდევნიდნენ.

ქართველი ხალხის, მისი კულტურის გულითად მეგობარს უდიდესი პატივისცემით იხსენიებს ჩვენი სახელოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი. 1881 წ. გაზეთ „დროებაში" (№ 37) მან მოათავსა წერილი, სადაც ოსტროვსკის შემოქმედებაზე და მის მნიშვნელობაზე შესანიშნავი აზრები განავითარა.

მოვუსმინოთ თვით აკაკის: „მისგან (ოსტროვსკისაგან) დახატულ ტიპებში ჩვენ მარტო ვაჭრებს ან მარტო რომელიმე კერძო წრეს კი არ ვხედავთ. საზოგადოდ რუსეთის ტიპებს ვუყურებთ, რადგან იქ იხატება მთელი რუსეთის თავგადასავალი, საერთო ზნე და საერთო მხარეები... ოსტროვსკიმ, ვაჭრების ხასიათის გამოხატვის დროს მთელი რუსეთი გამოხატა და დაგვიხატა. და ეს მიზეზია, რომ ოსტროვსკის ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის მწერლობაში".

დღეს შესრულდა რუსეთის ამ უკვდავი დრამატურგის დაბადების 115 წლისთავი. ქართველი ხალხი დიდ რუს ხალხთან ერთად სიყვარულით იგონებს ა. ოსტროვსკის, რომლის სახელიც მჭიდროდ დაკავშირებულია მის წარსულთან, მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლასთან.

ვ. იმედაძე


**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 12/IV | ერთდრ. ტალ. № 3. დღისით **ქეთო და კოტე**. დასაწყისი დღის 12 საათზე. |
| 12/IV | მუდმ. ადგ. ტალონი № 161. საღამოს პრემიერა **სევილიელი დალაქი** |
| 13/IV | მუდმ ადგ ტალ. № 162. **სიმფონიური კონცერტი**. დირიჟორი ა. გველესიანი. დასაწყისი 9 საათზე |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.
5 აპრილიდან დაიწყო დანარჩენი მუდმივი ადგილების ტალონების გაცემა. ამ დღისათვის დაფარული უნდა იყოს ყველა გადასახდელი.

**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი. 1938 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 12/IV | დღის წარმოდგენა **არსენა**. დასაწყისი დღის 12 საათზე. |
| 12/IV | წარმოდგენა 145 **არსენა** |
| 14/IV | წარმოდგენა 146. **სულელი** |

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

| | |
|---|---|
| 12/IV წარმ. № 147 | **მ უ რ ი** |
| 14/IV წარმ. № 148 | **ნაპერწკლიდან** |

**სახცირკი**. ტელ. 3-11-44

დღეს 12 აპრილს
დღისით — წარმოდგენა, დასაწყ. 2 ს.
საღამოს — დიდი მრავალფეროვანი პროგრამა, აგრეთვე ფრანგ. პროფეს. ჭიდაობის მატჩები.
ჭიდაობს 3 წყვილი:
1-ლი—ვ. ბოროვსკი—ვ. შევჩუკი გადამწყვეტი შეხვედრა
მე-2—ნ. პიურინი—ი. საული
მე-3—ი. მასლიევი—გ. გორდეევი
დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ.
სალარო დილის 10 საათიდან.
13 აპრილს განახლებული პროგრამა. ახალი ნომრები და ჭიდაობა,

**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

13 აპრილს

მუდმივი ადგილები ძალაში არ არის

**შ უ რ ი**

დრამა 4 მოქმ. იონა ვაკელის

მონაწილეობენ: ი. გვინჩიძე, შ. გოცირელი, ე. დონაური, (რესპ. დამსახ. არტ.), ს. ზაქარიაძე, კ. კვანტალიანი, პ. კობახიძე, გ. კოსტავა, გ. ლომაია, ი. მათიაშვილი, გ. ნაკაიძე, ა. ჟორჟოლიანი (ორდენოსანი), ე. სიბილა, ი. ქოქრაშვილი, შ. პირველი.

დადგმა—ს. ჭელიძის, მხატვარი—გ. ხიმშიაშვილი, მუსიკა—ვ. კურტიდის, დირიჟორი—კ. სირბილაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

54

**საქფილეგთი სახ. სომხური აკად. დრამის თეატრის შენობაში** — 13 აპრილს

შაუმიანის ქ. № 8, ტელ. 3-62-31.

**აღმოსავლეთ საქართველოს სახ. გუნდის კონცერტი**

ხელ. დამსახ. მოღვაწე სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით ლოტბარი დ. კავსაძე.

პროგრამაში—ხალხური სიმღერები, ცეკვები და მეფანდურე ქალთა ანსამბლი.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები თეატრის სალაროში. 17771

**საქფილეგთი—ესტრადის თეატრი**

პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-02-29

12 აპრილს ტალონი № 9ა. ქართული მუსიკის საღამო საქფილეგთის ჯაზ-ორკესტრის შესრულებით ს. გაგოვის ხელმძღვანელობით. სოლისტები: მერი ნაკაშიძე, დამს. არტ ნ. ქუმსიაშვილი, დამს. არტ. ს. ინაშვილი, დამს. არტ. კ. გერმესიშვილი ალფრედ მორგანი.

14 აპრილს ტალონი № 9ბ. სახკონსერვატორიის სტუდენტთა მეოთხე თემატიური საღამო. საბჭოთა კომპოზიტორები. დაწვრილებით აფიშებში.

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 50

**დღეს სახკინმრეწვის თეატრებში**

| | |
|---|---|
| ოქტომბერი, პლეხანოვის პროსპ., 135; რ. ლუქსემბურგის სახ. ჯოროჯიაშვილის ქ.; სპარტაკი, რუსთაველის პროსპ., 23 | დიდი მხატვრული ხმოვანი ფილმი **დიდი მოქალაქე**. სეანსები: კ. თ. ოქტომბერში—6-30, 8-45, 11; კ. თ. სპარტაკში—6, 8-10, 10-20; კ. თ. ლუქსემბ.—6-40, 8-50, 11 |
| დამკვრელი, პლეხანოვის პროსპ., 125 | ახალი ხმოვანი ფილმი **განძთა კუნძული**. დასაწყ. 6, 7-40, 9-20, 11 |
| კომკავშირელი, პლეხანოვის პროსპ. 91 | ახალი ხმოვ. ფილმი **საზღვარს კლიტე ადევს**. დასაწყ. 6-30 |
| 26 კომ. სახელობის, შაუმიანის მოედანი | ხმოვ. კომედია **ცხარე დღეები**. დასაწყ. 6-30 |
| არსენა, კომუნალური ქ., № 9 | ხმოვანი მხატვრ. ფილმი **მებადურისა და თევზის ზღაპარი**. დასაწყ. 6-30 |
| ახალი ამბები, პლეხანოვის პროსპ. 125 | ხმოვ. კინო-ნარკვევი **საბჭოთა დავოსი**. ხმ. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება" № 1. |

**სსსრ განსახკომი აცხადებს, რომ საშუალო სკოლის დასამთავრებელი**

**საექსტერნო გამოცდები**

დაიწყება თბილისში ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლაში (კამოს ქ. № 59) ა. წ. 10 ივნისს. განცხადებების მიღება სკოლაში იწარმოებს 5 მაისიდან 5 ივნისამდე. 1769


მისამართი. რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მრეწველობის წერილების — 3—73—24; პ.-მგ მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—217